



ნატო-საქართველოს სწავლება

2016 აქტიურ ფაზაში გადადის

პრეს-რელიზი

17 ნოემბერი, 2016

“ნატო-საქართველოს სწავლება 2016” სწავლების აქტიურ ფაზაში გადავიდა. სწავლების ფარგლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები კრიზისის საპასუხო ოპერაციებს დაგეგმვისა და აღსრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად აუმჯობესებენ.

ხუთშაბათს, 17 ნოემბერს, სწავლების მიმდინარეობის გასაცნობად, “ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრს” 130-ზე მეტი მაღალი დონის წარმომადგენლისგან შემდგარი დელეგაცია ეწვევა. საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანი, თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები სწავლებას ნატოს “მოკავშირეთა ტრანსფორმაციის სარდლობის” (ACT), “ნატოს სახმელეთო ძალების სარდლობის” (Landcom), “ნატოს გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრის” (JFTC) და ნატოს ცენტრების წარმომადგენლებთან ერთად ეწვევიან. სწავლების მიმდინარეობას საქართველოში აკრედიტებული ელჩები, საერთაშორისო ორგანიზაციების (“ევროკავშირი”, “წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი”) და სამხედრო საზოგადოების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

“ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ მხარდამჭერ ცენტრ “კრწანისში”, ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) 10-20 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობს და ნატო-საქართველოს ხანგრძლივ სამხედრო თანამშრომლობაში მორიგი წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. სწავლებაში ქართველ ოფიცრებთან ერთად ალიანსის 11 წევრი და 2 პარტნიორი ქვეყნის 250 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს.

“ნატო-საქართველოს სწავლება 2016” სამეთაურო-საშტაბო სწავლებაა, რომელიც კომპიუტერული მხარდაჭერით ტარდება და ქართველი ოფიცრების ხელმძღვანელობით მოქმედ მრავალეროვნული ბრიგადის შტაბის წევრებს ფიქტიური სცენარზე დაყრდნობით, კრიზისის საპასუხო ოპერაციის დაგეგმვის, კოორდინირებისა და აღსრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დახვეწაში ეხმარება.

სწავლების დაგეგმვის ოთხდღიანი და აღსრულების სამდღიანი პერიოდის განმავლობაში ქართველი ოფიცრების ხელმძღვანელობით მოქმედი მრავალეროვნული ბრიგადისა და საერთაშორისო შტაბის წევრები ნატოს დაგეგმვის პროცედურებს, სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და ნატოს საკომუნიკაციო სისტემას გაეცნენ. სწავლების მთავარი მიზანია, გააძლიეროს ეფექტური ურთიერთქმედება ნატოს შტაბ-ბინასთან და განავითაროს მართვისა და კონტროლის შესაძლებლობები ნატოს სტრუქტურაში. სწავლება ასევე ხელს შეუწყობს კოორდინაციის გაძლიერებას არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ საქართველოს თავდაცვით შესაძლებლობებს გააძლიერებს. სწავლება კიდევ ერთი დადასტურებაა ნატოს მუდმივი მზადყოფნის, გააძლიეროს ურთერთთავსებადობა და პარტნიორობა მოკავშირე და პარტნიორ ქვეყნებთან. სწავლება რიგით მეორე ნატო-საქართველოს სწავლება, რომელი საქართველოში ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში (SNGP) ტარდება. აღნიშნული სწავლება პირველია, რომელშიც საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი კრიზისულ სიტუაციებში საპასუხო ოპერაციების მრავალეროვნულ სწავლებას ხელმძღვანელობს. „ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ წარმოადგენს პირველ შემთხვევას, როდესაც ნატოს სწავლების დაგეგმვისა პროცედურები სრულიად არის დაცული და პირველ ნატო-საქართველოს სწავლებას, რომელიც ნატოს რეგულარული სწავლებების ციკლშია და მომავალშიც განხორციელდება.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ ნატოს „მოკავშირეთა ტრანსფორმაციის სარდლობის“ (ACT), ნატოს სახმელეთო ძალების სარდლობის (LANDCOM), ნატოს გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრის (JFTC), პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარდაჭერითა და ორგანიზებით ნატო-საქართველოს წრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) იმართება. 13 მოკავშირე და პარტნიორი ქვეყანა სწავლებაში სამხედრო ოფიცრებითაა ჩართული. სწავლებაში მონაწილეობენ: თურქეთის რესპუბლიკა, ლატვიის რესპუბლიკა, ლიტვის რესპუბლიკა, ნიდერლანდების სამეფო, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთის რესპუბლიკა, ბელგიის სამეფო, სლოვენის რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები და პარტნიორი ქვეყნები: უკრაინა და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია¹.

საკონტაქტო ინფორმაცია:

სწავლების მედიაცენტრი, საქართველო: + 995 (32) 272 35 35 (შიდა: 6516)

ვიცე-პოლკ. მეთ გრეგორი: +(90) 533 711 35 64, matthew.gregory@lc.nato.int

ერეკლე შუბითიძე: +995 (591) 25 63 75, eshubitidze@mod.gov.ge

მარიამ კველიშვილი: +995 (598) 23 12 71, mkevlshvili@mod.gov.ge

ირაკლი გურგენიძე: +995 (577) 19 88 66, igurgenidze@mod.gov.ge

თეა კერძევაძე: +995 (577) 19 00 96, tkerdzevade@mod.gov.ge

სწავლების ვებ-გვერდი: <http://www.act.nato.int/nato-georgia-exercise-2016>

¹ თურქეთი მაკედონიის რესპუბლიკას აღიარებს მისი კონსტიტუციური სახელწოდებით.